ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ანაზღაურებად სტაჟირებას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრში

ფუნქცია-მოვალეობები
ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების მხარდაჭერა:

- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- სატელეფონო და ზეპირი კონსულტაციების გაწევა;
- საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორის ასისტირება;
- სტუდენტთა ცნობების გაფორმება და ბაზაში აღრიცხვა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- ფაკულტეტზე მიმდინარე სხვა პროცესების მხარდაჭერა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

ქცევითი კომპეტენციები:

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ქართულად გამართული წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- ახალ ინფორმაციასთან/გამოწვევებთან გამკლავების უნარი;
- დეტალებსა და შედეგზე ორიენტაციის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კონფიდენციალურობის დაცვა;
- შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი;
- ეთიკურობა და კეთილსინდისიერება.

სამუშაო პირობები:

სამუშაო ადგილი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №32 (მონიტორინგის პროცესი მოიცავს ილიაუნის ყველა სასწავლო შენობას);
ფაკულტეტი: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი;
სამუშაო გრაფიკი: სრული, კვირაში 5 დღე არაუმეტეს 40 საათისა (არდადეგების პერიოდში);
ნახევარი, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, კვირაში არაუმეტეს 20 საათისა (სასწავლო პროცესისას);
სამუშაო და დასვენების დღეები შეთანხმდება უშუალო ხელმძღვანელთან.
სტაჟირების ხანგრძლივობა: 2025 წლის 17 თებერვლიდან 22 ივნისამდე;
ანაზღაურება: თვეში 300 ლარი (დარიცხული).

გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი;

სტაჟიორის პოზიციით დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV და სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 200 სიტყვისა) pdf ფაილად **2025 წლის 3 თებერვლამდე** შემდეგ მისამართზე: **admin.artsci@iliauni.edu.ge**

ასევე, შეავსოთ კითხვარი შემდეგ ბმულზე:

აპლიკაციის გამოგზავნისას წერილის სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **„სტაჟირება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე (სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრი)“.**

კონკურსი წარიმართება 2 ეტაპად:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შევსებული კითხვარის განხილვა;
2. გასაუბრება ZOOM-ის საშუალებით.

ყურადღება: დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს!

თქვენ მიერ ვაკანსიის ფარგლებში ჩვენთვის CV-ისა ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი სხვა დოკუმენტის წარდგენით აცხადებთ თანხმობას შერჩევის პროცესში დაწესებულების მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების ფლობასა და დამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.